№ 146

შაბათი, 8 ივლისი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 146

შაბათი, 8 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

საზაფხულო თეატრი და ბაღი
(მიხეილის პროსპექტი)

საქველ მოქმედო წარმოდგენა

კვირას, 9 ივლისს,
ქართული თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქმნება:

I

მუნწი

კომედ. 2 მოქ., გ. ერისთავისა.
მოთამაშენი: ქ.ქ. ნებიერიძე, ვაშაკიძე; ბ.ბ. აბაშიძე, სვიმონიძე, გუნია, ურუშაძე, ჯაჯანაშვილი, და სხვ.

II

ბუნდოვანი სურათები

მეფუხვის ტყაოსანი

ნახვენები იქმნება გამოჩენილის მოგზაურის ჯონ-მორისისაგან.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
დასაწყისი 9 საათზე.
რეჟისორი ვ. აბაშიძე

ჩვენ შევუდექით

„რუსულ-ქართულ ლექსიკონის"

შედგენას,

რომელშიაც შეტანილი იქმნება სისრულით, გარდა ჩვენი საკუთარი თარგმანისა, საბა-სულხან-ორბელიანის ლექსიკონი, ხელთნაწერი უსახელო რუსულ-ქართული ლექსიკონი და ჩემი უბის ლექსიკონი. საფუძვლად ამ ლექსიკონს დაედება ახალი აკადემიური ლექსიკონი.

(3—135—2) ლადო აღნიაშვილი

მიხეილ ალექსანდრეს-ძე

ნასიძე

15 ივლისიდამ ამა წლისა იცხოვრებს მუდმივად ქ. სიღნაღში.

შეუდგენს მსურველთ ყველანაირ ქაღალდებს და დაიცავს სისხლის სამართალში მიცემულ პირთ სასამართლოებში.

მთხოვნელებს მიიღებს დილით 8 საათიდამ 12-მდე და საღამოობით 5—7-მდე. (30—უ.—2)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჩიჩინაძე.—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგანი—9—10 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი, კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

ვ. ა. პოკროვსკი—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ვ. გ. წერეთელი, 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკოვიჩი—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. საღოსტაქრო.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—საშვილოსნოსა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

საღამოთი:

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სტეფანაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. საღოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

კ. ი. გძელიშვილი. $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. არვანიტაკი—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Павасардiана*.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

მკურნალი

ვ. გ. წერეთელი

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

## ახალი ამბავი

*** როგორც შევიტყვეთ, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის სამზრუნველო კომიტეტს უთხოვნია „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" გამგეობისათვის, რომ ამავე სკოლის ყოფილი ინსპექტორი, თერგის ოლქის სახალხო სკოლების დირექტორი ბ-ნი ალექსი ქიქინაძე ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის ინსპექტორად იქმნას დანიშნულიო.

*** დღეს, 8 ივლისს, შუადღისას მისის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის კონსტანტინე კონსტანტინეს ძის გრენადერთა მე 15 რაზმის დღესასწაულობის დღეს, პარაკლისი იქმნება გარდახდილი.

*** „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კავკავის სკოლის სამზრუნველო კომიტეტს თავის ხარჯით საზღვარ-გარეთ გაუგზავნია ამავე სკოლის მასწავლებელი ლ. ბოცვაძე.

*** ხუთშაბათს, 6 ივლისს, დასრულდა ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთა საზაფხულო კურსები. გაკვეთილების შემდეგ სამს საათზედ გარდახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც ტფილისის გუბერნიის სამრევლო სკოლების მეთვალყურემ ბ-ნმა ნ. გ. ტატიშვილმა მოკლე სიტყვა წარმოსთქვა.

*** დღეს, 8 ივლისს, დ. სურამში პარკის როტონდაში ბ-ნ კავსაძის ხორო გამართავს კონცერტს.

*** გუშინ წინ, ჩვენს გაზეთში უკვე აღვნიშნეთ ქალაქის გამგეობის დადგენილება, რომლითაც ქალაქის მცხოვრებთ ნება არ ექმნებათ პატა-

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

არეულობანი ჩინეთში.—ამ არეულობათა გამომწვევი მიზეზები.—ძველი ჩინეთი.—ჟურნალ-გაზეთები და წიგნების გამოცემის საქმე ჩინეთში.—იმპერატორის ბრძანებანი.—ძუნგ-ლი-იამენი.—ოსმალთა აზრი ჩინეთისა და რუსეთის შესახებ.—მომავალი კავშირი ჩინეთისა, რუსეთისა და იაპონიისა.

არავის არ ეგონა, თუ „დიდის მუშტის" აღელვება ჩინეთში ასე გაიზრდებოდა და ამ აღელვებას ევროპიელთა და ამერიკელთათვის ასეთი არა-სასურველი შედეგი მოჰყვებოდა. უკანასკნელ დეპეშებიდგან აშკარად სჩანს, რომ თუ მთელი ჩინეთი არა, დიდი ნაწილი მაინც ამ სახელმწიფოსი უკვე ამხედრდა „უცხო-ქვეყნელ ქაჯების" წინააღმდეგ. ყველაზედ მეტად ის აკვირვებს ევროპიელებს, რომ ჩინეთს საკმაოდ აღმოაჩნდა თოფიც, ზარბაზანიც და საზოგადოდ ყველა ის, რაც აწინდელმა ტეხნიკამ, სხვა სასარგებლო გამოგონებასთან ერთად, თვით ადამიანისავე ამოსაჟლეტად გამოიგონა. ჩინეთის თოფხანები სავსეა თურმე თოფ-წამალ-ზარბაზნებით. აშკარაა, ჩინელები გუშინ და დღეს არ შეუდგნენ მზადებას და მოულოდნელად არ განიზრახეს მათ „უცხო ქვეყნელ ბარბაროსთა" განდევნა.

ჩინეთის არეულობათა გამომწვევ მიზეზად აქამდის უმთავრესად ორ—ევროპისა და ჩინეთის—ცივილიზაციის სხვა-და-სხვაობას ასახელებდნენ. ყოველს ექვს გარეშეა, რომ რაოდენადმდე ამ სხვა-და-სხვაობასაც მიუძღვის ბრალი ამ საქმეში: ჩინელისა და ევროპიელის აზრ-შეხედულება, ცხოვრება, ზნე-ხასიათი იმდენად განსხვავდება, რომ შეუძლებელი იყო მათ შეტაკებას არავითარი მოძრაობა არ გამოეწვია. მაგრამ მაინც აწინდელი არეულობანი, როგორც საქმის მცოდნე კაცები გადმოგვცემენ და როგორც მოსალოდნელიც იყო, უმთავრესად ეკონომიურის მიზეზებით იქმნა გამოწვეული. ამის დასამტკიცებლად ორიოდე მაგალითიც საკმაოა.

***

როგორც ვუწყით, ჩინეთი მჭიდროდ დასახლებული სახელმწიფოა. ქალაქებსა, სოფლებსა და პროვინციებს შორის დიდი მისვლა-მოსვლა და ათასგვარ საქონლის გადაზიდვა-გადმოზიდვაა. აი მარტო ამ ხელობას,—საქონლის გადატან-გადმოტანას, ჩინეთში რამდენიმე მილიონი კაცი მისდევდა. ევროპიელებმა ზევრგან უკვე გაიყვანეს რკინის გზები და უფრო მეტგან მომავალში აპირებენ გაყვანას, და ამით რამდენსამე მილიონ მკვიდრს ცხოვრების საზსარი მოუსპეს. რასაკვირველია, ეს ულუკმა-პუროდ დარჩენილნი დიდი წინააღმდეგნი იქნებიან ევროპიელთა შესევისა.

ჩინეთში ძვირად შეჰხვდებით ისეთს ქალაქს, სადაც რამდენიმე ათი და ასი ათასი მუშა, ანუ იქაურად კული, არა სცხოვრობდეს. ეს მუშებიც თავს მხოლოდ საქონლის გადატან-გადმოტანით ირჩენენ. ევროპიელებმა გამართეს ელექტრონისა და ცხენის რკინის გზები, შემოიღეს ეტლები, ყველა ამან-კი უიმისოდაც მშიერ-მწყურვალ მუშებს სრულიად გამოაცალა ცხოვრების ნიადაგი და ესენიც უკმაყოფილოთა ბანაკს მიუმატა. თვით „დიდის მუშტის" მომხრეთა აღელვებას ასე ჰხნის ერთი გაზეთი. ჩინეთი კლასიკური ქვეყანაა ქურდებისა და ყაჩაღისა. „დიდის მუშტის" მომხრეებმა საგნად დაიდეს ამ ყაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლა. ისინი მფარველობას უწევდნენ მოგზაურებს, აცილებდნენ და იცავდნენ ყაჩაღებისაგან არა მარტო კერძო კაცებს, ხშირად მთავრობის მოხელეებსაც-კი და ამისათვის ჯილდოს იღებდნენ. როდესაც ევროპიელებმა რკინის გზები გაიყვანეს, მათი მფარველობა და დახმარება აღარავისთვის იყო საჭირო, მაშასადამე, ისინიც ულუკმა-პუროდ დარჩნენ. აი, მარტო რკინის გზამ რამდენი უკმაყოფილება დაჰბადა ჩინეთში.

ევროპიელთა სხვა დაწყებულებასაც ასეთივე შედეგი მოჰყვა. შინამრეწველობა ამ ჟამად არსად არ არის ისე გაძლიერებული და განვითარებული, როგორც ჩინეთში. იქ შინ, ოჯახში მრავალ ნივთებს ამზადებენ და შემდეგ კარგ ფასად ჰყიდიან. სხვათა შორის აკეთებენ ჩინელები ფაიფურის მშვენიერ ჭურჭელს. ევროპიელები, როგორც ამ ფაიფურის ჭურჭლის, ისე სხვა ნივთების მზადებას ქარხანაში შეუდგნენ, ამის გამო ერთი ოთხად გაიაფეს და შინა-მრეწველთ ხელიდგან საქმე გამოაცალეს.

ერთის სიტყვით, ევროპიელთა შესევამ, ევროპისა და ჩინეთის დაახლოვებამ, მათ შორის ვაჭრობა-მრეწველობის დაწყებამ შეარყია საუკუნოებით არსებული საზოგადოებრივი ცხოვრება და ძველ სოციალურ, ეკონომიურ პირობათა შეცვლას შეუდგა.

***

ამას-კი შეუძლებელი იყო არეულობა და უკმაყოფილება არ მოჰყოლოდა. ჩინეთი მეტად დიდი ხანი არსებობს, მეტად შეეთვისა უკვე არსებულ ცხოვრების პირობათ და, რაღა ლაპარაკი უნდა, ვერაფრად ეჭაშნიკება იმის უკუ გდება და ახალის შემოღება. 3000 წელზედ მეტია, რაც ჩინეთი ცხოვრების ერთ კვალსა და გზას ადგია და ამ ხნის განმავლობაში იგი ყოველთვის ერიდებოდა ამ კვალიდგან გადახვევას.

ჩინეთის ისტორია იწყობა 3000 წლიდგან ქრისტეს დაბადებამდე. პირველი მეფე ფუ-სი 2953 წელს ავიდა ტახტზედ. 3 საუკუნის წინად ქრისტეს დაბადებამდე ჩინელები თავიანთ თავს „ძინგის ქვეშევრდომებს" ეძახდნენ (ძინგი მაშინდელის მეფის გვარი იყო). მალაიელებმა ეს სახელი „ჩინად" გადააკეთეს, აქედგან წარმოსდგა ჩენ, ჩაინ, შინ, და ჩვენებური სახელწოდება ჩინეთიც. ჩინელებს მრავალი ძველი წიგნები აქვთ და ამ წიგნებში მოთხრობილია დაწვრილებითი ისტორია ჩინეთისა. რასაკვირველია, სულ ძველ ხანას ჩინეთის ისტორიისას მითოლოგიური ხასიათი აქვს. ამ ძველ წიგნებში მოთხრობილია აგრეთვე დედამიწისა და ცხოველების გაჩენის ამბავიც. აი, სხვათა შორის, რა არის იქ ნათქვამი: „როდესაც პიუ ხომ (ღმერთმა) შეჰქმნა ცა და დედამიწა, აილო თიხა, აურია და იმისაგან კაცი გააჩინა". შემდეგ: „კაცი მაშინ ცხოველთა შორის სცხოვრობდა; ბოროტება ჯერ არ არსებობდა; სიკვდილი არავინ უწყოდა... მაგრამ ცოდნის სურვილმა დაჰღუპა კაცობრიო-

რა ზომის ადგილებზედ შენობების აგებისა. საჭიროდ მიგვაჩნია ამასთანავე გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს, თუ რომელი მიწის ნაჭერი ითვლება პატარა ზომის ადგილად. ქალაქის საბჭოსაგან დამტკიცებულ და 1894 წ. გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა მე-20 პარაგრაფით, ქალაქის ახალს ნაწილებში ადგილების გასასყიდად დანაწილების დროს პატრონმა ისე უნდა დაანაწილოს, რომ თვითეული მიწის ნაჭერი ქუჩის პირად არ იყოს სიგრძით 7, ხოლო სივრცით 80 ოთხ. კუთ. საჟ. ნაკლები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ დადგენილებით, ეს ადგილები პატარა ზომისად იქმნება მიჩნეული და იქ შენობების აგების ნება არავის მიეცემა. უკვე დასახლებულ ქალაქის ნაწილებში პატარა ზომის ადგილებად მიიჩნევა ის მიწები, რომლებიც სივრცით 40 ოთხ. კუთ. საჟ. ნაკლები იქმნება. ამ ადგილებზედ საცხოვრებელ შენობის აგების ნება არ მიეცემათ. მხოლოდ ქალაქის ძველს ნაწილში შეიძლება ადგილი ზომით 40 ოთხ. კუთ. საჟ ნაკლებიც იყოს, მაგრამ 24 ოთ. კ. საჟ. ნაკლები კი არა. ის შენობები, რომელიც აშენებულია 40 ოთხ. კ. საჟ. ნაკლებ ზომის მიწებზე, ხოლო ქალაქის ძველს ნაწილში—24 ოთხ. კუთ. საჟ.—მცხოვრებთ ნება არ ექნებათ გარდააკეთონ; ასეთი შენობა, როდესაც დაძველდება, უსათუოდ უნდა დაანგრიონ.

* * ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრა სულ 22-მა კაცმა; მათ შორის ერთი რუსია, დანარჩენი ქართველები; აი მათი სახელი და გვარი; ახთიმოზ ებანოიძე, ილიკო ბახტაძე, იონა ბელიაშვილი, კოწია გამსონია, ლავრენტი გეგეჩაძე, ალექსანდრე გამსახურდია, ი. ხა გიორგაძე, ვლადიმირ გოცაძე, სილიბისტრო დოდელია, გრიგოლ დუმბაძე, ალაფოხ ლომინაშვილი, მელიტონ მგელაძე, არსენ ონიანი, ნიკოლოზ პლეტენიევი, ნოე რამიშვილი, თეოფილე თურმანიძე, თომა ხვიტია, ვასო პაპავა, ანდრონიკე ჩუხუა, იოველ ჩხეიძე, ალექსანდრე ჩიკავა და მინა იაშვილი.

* * ამიერიდგან სახელმწიფო კანტროლში მოსამსახურე ქალთა რიცხვი შესამჩნევად შემცირდება. ამ დღეებში გამოცემულის ახალის წესით რკინის გზის კანტროლში მოსამსახურე ქალთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს ყველა მოსამსახურეთა რიცხვის ერთ მეხუთედს, და რადგანაც ეხლა ქალების რიცხვი აღემატება ამ ნორმას, ქალებს აღარ მიიღებენ სამსახურში, სანამ მათი კომპლექტი კანტროლში ერთ-მეხუთედამდე არ დავა. ჯამაგირადაც ხუთ თუმანზედ მეტი აღარ მიეცემათ.

* * რადგანაც მაჰმადიანთა ქალები იშვიათად მიჰმართავენ ხოლმე მამაკაც-მკურნალებსა და ფერშლებს, ამის გამო მთავრობას განზრახვა აქვს ტფილისში დედათა საფერშლო სკოლა დააარსოს.

* * განზრახვა თურმე აქვთ ქართულს ენაზედ წიგნების გადამთარგმნელ და გამომცემელ კომისიის საქმე როგორმე განკარგებულ იქმნას. როგორც ვიცით, ამ წიგნებს ის დანიშნულება აქვთ, რომ სამრევლო-საეკკლესიო სკოლებში და სახალხოდ იკითხებოდნენ.

* * როგორ ტფილისის დედათა დიდის მთავრინა ოლგა თეოდორეს ასულის სახელზედ არსებულ მეორე გიმნაზიის დირექტორი აცხადებს, მოსამზადებელ კლასებისა და პირველის კლასის გარდა სხვა კლასებში შესვლის მსურველთათვის თავისუფალი ადგილი სრულიად არ არის თურმე.

* * ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელს ბ-ნს რობის ქალაქის გამგეობაში გეგმა წარუდგენია დასამტკიცებლად, რომ ცხენის რკინის გზა ელისაბედისა და ვოკზალის ქუჩაზედაც გაიყვანოს, ასე რომ ამ გზით ვოკზალის შტო მიხეილის პროსპექტის ლიანდაგს შეუერთდება იუნკერთა სასწავლებლის მახლობლად.

* * ამიერ-კავკასიის რკინის გზებზედ გამოცხადებულია, რომ საჭიროების დროს, მაგალით., თუ რომ დამნაშავეს კვალში მისდევენ, ან და საჩქაროდ დაიძებენ პოლიციის მოხელენი და ჯიბეზედ-კი ფული არა აქვთ, შეუძლიანთ უფასოდაც იარონ რკინის გზით, რომელი მატარებლითაც იქნება, სახალხო, საგანგებო, საქონლისა თუ სხ. რომელიმე, მხოლოდ წასვლის წინად პოლიციის მოხელის სახელი და გვარი და აგრეთვე თანამდებობა საგანგებოდ ამისათვის არსებულს წიგნში უნდა ჩაიწეროს სადგურზედ.

* * როგორც სატახტო ქალაქის გაზეთები იუწყებიან, პირდაპირი მატარებელი ბათუმიდგან-ტფილის-ბაქო-პეტროვსკ-პეტროვსკ- პეტერბურგამდე მალე თურმე დაიწყებს სიარულს. პირველ ხნობით მატარებელი მხოლოდ კვირაში ერთხელ ივლის.

* * კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ატყობინებენ, რომ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ნება დაურთავს საზოგადოებისათვის 1901 წ. კავკასიის საერთო გამოფენა გამართოს.

* * როგორც კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარია იუწყება, სასჯულო სასწავლებელში (училище правовѣденія) მომავალ სამოსწავლო წლისათვის კავკასიელთა და ამიერ-კავკასიელთათვის ორი თავისუფალი ადგილი ყოფილა. სასწავლებელში მხოლოდ ჩამომავლობით აზნაურთა და იმ სამხედრო და სამოქალაქო სამსახურის პირთა შვილები მიიღებიან, რომელთაც სამსახურში პოლკოვნიკისა ან და სტატსკი სოვეტნიკის ხარისხი დაუმსახურებიათ. თხოვნა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უნდა მიართვან.

* * მცხეთის სასოფლო საზოგადოებას შუამდგომლობა დაუწყია მთავრობის წინაშე, რომ სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან 1,500 მან. მიეცეთ სოფლის სხვა-და-სხვა საჭიროებისათვის.

* * ტფილისის გუბერნიაში საქონლის ჭირის მოსასპობად და დახოცილ ჭირიან საქონელში გლეხთათვის ფულის მისაცემად ტფილისის გუბერნატორს ამ ჟამად 10,000 მან. აქვს.

* * გზათა მინისტრისათვის წარუდგენიათ გარდასაწყვეტად ის, თუ როგორ უნდა დააკმაყოფილონ ხოლმე ის მესაკუთრენი, რომელთა მამულზედაც რკინის გზის ლიანდაგი გაივლის ხოლმე და მიწებს მოიზომავენ.

* * 1-ლ ივლისს კავკასიის სამკურნალო წყლებზედ ყოფილა: პიატიგორსკში 4,020 კაცი, ესენტუკში 1714 კაცი, ჟელეზნოვოდსკში 1173 კაცი, კისლოვოდსკში 810 და სულ 7717 სული, ე. ი. 92 კაცით მეტი, ვიდრე შარშან.

* * ქუთაისის გიმნაზიის დირექტორი ბ-ნი ჩებიში სამის წლით კიდევ დარჩება სამსახურში.

* * ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობისაგან შემდეგი ცნობა მივიღეთ: ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წლიურ კრებაზე, წარსულ 4 თიბათვეს, ხსენებულ საზოგადოების წევრებათ არჩეულ იქმნენ: გელდიაშვილი კონსტანტინე ივანეს ძე, გასკაძიშვილი სვიმონ რევაზის ძე, გაგლოშვილი დავით გიორგის ძე, ქურდიანი გრიგოლ ზაქარიას ძე, დავით ბერი, ამირაჯიბი თ. კონსტანტინე მიხეილის ძე, დეკანოზიშვილი შიქრო ზაქარიას ძე, ბერძნიშვილი ყარამან ბიჭიას ძე, ტუსკია გერონტი ყარამანის ძე, მაჭუტაძე თ. დიმიდრი, წერეთელი მღ. სვიმონ ნიკოლოზის ძე, ლადიძე მიტროფანე ერმალოზის ძე, წინამძღვრიშვილი ნიდარ (ავავე დევან) ერმალოზის ძე, მერკვილაძე იოსებ ნიკოლოზის ძე, ყაზბეგი ივანე ნიკოლოზის ძე, კილაძე ივანე, წულუკიძე გრიგოლ მიხეილის ძე, ფურცელაძე ისაია იუდის ძე, ქოქაშვილი გიორგი მაქსიმეს ძე, გომელაური ივანე მიხეილის ძე, მამულაიშვილი არსენ ანტონის ძე, ლაბაური ზაქარია პეტრეს ძე, ხარაშვილი დავით, ჯიბლაძე სილიბისტრო ბესარიონის ძე, ჭიჭინაძე ნიკოლოზ გაბრიელის ძე, ხაზვა ვლადიმერ ნიკოლოზის ძე, ყაისაშვილი ივანე დავითის ძე, გოგუა კალისტრატე გიგოს ძე, გოგლიძე მიხეილ გიორგის ძე, პაიჭაძე სამსონ ივანეს ძე, მიქატაძე ლევარსი თევდორეს ძე, ყაისაშვილი მიხეილ დავითის ძე, კობალეიშვილი ილიკო ივანეს ძე, ბოჭორიშვილი მიხეილ ზაქარიას ძე, ოქრუაშვილი არაქელ გრიგოლის ძე, ხოდრიშვილი ზაქარია იოსების ძე, კალატოზიშვილი დავით ივანეს ძე, იაშვილი ვლადიმერ იოსების ძე, მადსაგოვი გიორგი პეტრეს ძე, სტურუა ივანე თევდორეს ძე, არშინაშვილი იოსებ ზაქარიას ძე, ჯიბლაძე ვლადიმერ გიორგის ძე, მაჭავარიანი სოსო, ყაზახაშვილი შიქრო ლუარსაბის ძე, ერაქოვი ნიკო სტეფანეს ძე, ენუქიძე აბელ სოფრონის ძე, ბაქრაძე დიმიტრი ივანეს ძე, კალანდარიშვილი დიმიტრი ექვთიმეს ძე, ჯუღელი სვიმონ სპირიდონის ძე, შილაკაძე გრიგოლ ილარიონის ძე, თოფურია ნიკო, დარახველიძე იოსებ ნიკოლოზის ძე, მიქაძე რაჟდენ, ნანუა გიორგი ანტონის ძე, რაჭველიშვილი ფილიპე გიორგის ძე, ცომაძე ნიკო კონსტანტინეს ძე, ხხეიძე გიორგი ივანეს ძე, ხხარტიშვილისა სოფიო მიხეილის ასული, თავდგირიძე თ. ნიკოლოზ ყარამანის ძე, კლდიაშვილი მიხეილ იოსების ძე.

* * ახალ-სენაკი. გვარს, 2 ივლისს, აჭყურს მაზრის სამმართველოში ახალსენაკის ვაჭრებს, მცხოვრებთა და თვით დაბის ახლო-მახლო მცხოვრებლებს კრება ჰქონდათ, მაზრის უფროსის ხმელნიცკისა და მისის თანაშემწის ჯა-

---

ბა. მიზეზი-კი ამ დაღუპვისა ქალი იყო, ამიტომ ქალის სიტყვას არასოდეს არ უნდა დაუგდოს კაცმა ყური". ცოლვიან ქვეყანას გასაწმენდად ღმერთმა წარღვნა მოუვლინა. გადარჩა წარღვნას მხოლოდ ნან-კუ, რომელსაც სამი შვილი ჰყავნდა და რომლისაგანაც გამრავლდა შემდეგ ხალხი.

მთელი 5000 წელიწადი არსებობს ჩინეთი და ამ ხნის განმავლობაში იგი არავის გავლენას არ დაჰმორჩილებია. პირ-იქით ყოველთვის თვით ჩინელებს ჰქონიათ სხვებზედ გავლენა: ვინც-კი ამ სახელმწიფოში შესულა, ყველა გაჩინელებულა; დღეს მანჯურიამაც-კი, ოდესღაც ჩინეთის დამპყრობმა, დაივიწყა სამშობლო ენა და ჩინური ენა და იქაური ზნე-ჩვეულებანი შეითვისა.

* * *

ამ უძველესს სახელმწიფოში ყველაფერი ძველია. ასე გასინჯეთ, გაზეთებიც-კი მთელი საუკუნოებია, რაც არსებობს იქ. ჩინეთის მთავრობის ოფიციალურ „პეკინის გაზეთის" არსებობას უკვე 1200 წელიწადი შეუსრულდა.

სულ ამ ჟამად ჩინეთში ჩინურ ენაზედ 70-მდე დრო-გამოშვებითი გამოცემაა—გაზეთი და ჟურნალი. პროგრესიულ დასს საკუთარი ორგანო აქვს „ჩინეთის პროგრესი"; იგი ჟურნალად და გაზეთად გამოდის, ჟურნალი კვირაში სამჯერ, ხოლო გაზეთი—ყოველდღე. ეს გაზეთი კან-იუ-ვეიმ დააარსა. შანჰაიში შვიდი გაზეთი იბეჭდება. ეს გაზეთებიც პროგრესიულ დასის მომხრენი არიან. კანტონში იბეჭდება სამი გაზეთი. თითო გაზეთი 4-დგან 6 მანეთამდე ღირს. სხვა გაზეთები იბეჭდება პეკინსა, გონ-კონგსა, ტიან-ძინსა, განკოუსა და მანჯურიაში.

რაც შეეხება ჟურნალებს, ჩინელებს რამდენიმე კარგი და შინაარსიანი ჟურნალი აქვთ. მოგვყავს აქვე წერილების სათაური ერთის ჩინურის ჟურნალისა, რომელსაც სახელად „სტუდენტის თანამგზავრი" ეწოდება: ელექტრონი.—რა ფასი აქვს ოქროს დღეს.—ელჩის მოვალეობა.—რა სარგებლობა მოაქვს უცხო-ენათა შესწავლას.—უცხო-სახელმწიფოთა ჟურნალ-გაზეთები.—სამხედრო რეფორმა.—ეგზამენები ჩვენში და ცუდი მხარე ამ ეგზამენებისა.—ბავშვების აღზრდა.

წიგნების გამოცემის საქმემაც საკმაო ნიადაგი მოიპოვა ჩინეთში. მრავალი სახალხო წიგნი იბეჭდება იქ. წერა-კითხვა ძალიან ბევრმა იცის, ამიტომ ასეთი სახალხო წიგნი ათი და ასი-ათასობით საღდება. დიდი წიგნებიც იაფადა ჰღირს ჩინეთში. მაგალითად, ორმოც-ტომიანი მშვენიერი გამოცემა, რომელიც ჩინელ მწერალთა რჩეულ ადგილებს შეიცავს, ჰღირს მხოლოდ 10 მანეთად. ამას წინად დაასრულეს მთელის ჩინურის ენციკლოპედიის ბეჭდვა; ეს ენციკლოპედია 1620 ტომს შეიცავს. იბეჭდება აგრეთვე მთელი წიგნები რუსეთისა, ინგლისისა, საფრანგეთისა, იტალიისა და ბელგიის შესახებ. საზოგადოდ გამომცემლობის საქმეს კარგი მერმისი მოელის ჩინეთში, რადგან წიგნის ბაზარი და მოთხოვნილება იქ მეტად დიდია.

* * *

იმპერატორისა და მთავრობის ბრძანებანი და განკარგულებანი ყოველთვის „პეკინის გაზეთში" იბეჭდება. ამ ბრძანებათა შორის ბევრი მეტად საყურადღებო და შესანიშნავია. მოგვყავს აქ რამდენისამე ბრძანების შინაარსი.

„1897 წლის 4 მაისს ჩვენ გავიგეთ, რომ კეთილშობილნი მონგოლნი, თანამდებობის აღსრულების დროს, ხალხს ფულს ართმევენ ხოლმე. ვაცხადებთ ყველას საყურადღებოდ, რომ თანამდებობის კაცთ ჯამაგირი ეძლევათ და რამე საქმის შესრულებისათვის ფული არ უნდა მიეცეთ, ვუბრძანებთ იმათ, ვისგანაც ეს საქმეა დამოკიდებული, სასტიკად დასაჯონ ის მოხელენი, რომელნიც ამიერიდგან ფულს აიღებენ".

„1897 წლის 4 მაისს მივიღეთ მოხსენება ცენზორის შუ-შენგ-კვანგისა. ამ მოხსენებაში ცენზორი ეხება მოსამართლეებს და ამბობს, რომ ეს მოხელენი საქმის გარჩევას აგვიანებენ, მოწმეებს აწვალებენ და ხშირად ძალას ატანენ, რის გამოც მართლ-მსაჯულება შეფერხებულიაო. სასტიკად ვუბრძანებთ ვიცე-კოროლებსა და გუბერნატორებს, დიდი ყურადღება მიაქციონ მოსამართლეებსა, ეცადნენ ყოველივე საქმე დროზედ და წესიერად იქმნას ხოლმე განხილული. სიმართლე და ჭეშმარიტება ყველაზედ მეტად მოსამართლეს მოეთხოვება, ამიტომ ყველაზედ მეტადაც უნდა დაისაჯოს ის მოსამართლე, რომელიც სიმართლის გზას გადაუხვევს".

„1897 წლის 16 მაისს ცენზორმა იუჩანგმა გვაცნობა ერთის მწერლის შესახებ, რომ იგი საჯაროდ ჰკიცხავს მოსამართლეებს და იმპერატორის დეკრეტებსაო. თუ ამ მწერალს სამშობლოს სიყვარული ალაპარაკებს და თუ მან თავისის სიტყვების სიმართლე დაამტკიცა, მაშინ ჩვენი უსამართლო ბრძანებანი გაუქმებულ უნდა იქმნან. ვავალებთ გუბერნატორს კუანგსის ეს ბრძანება შეასრულოს, დაიბაროს მწერალი, გამოიძიოს ყოველივე და თუ იგი მართალი გამოდგა, სამსახურში მიიწვიოს და კარგი თანამდებობა ჩააბაროს."

„1899 წელი, 13 ნოემბერი. ვიცე-კოროლებსა და გუბერნატორებს ერთი მეტად კარგი ჩვეულება აქვთ: თავიანთის ყოველ წლიურის მოხსენებით გვატყობინებენ, რა მდგომარეობაშია ხალხი და როგორ კაცების ხელშია მართვა-გამგეობის საქმე. მაგრამ ხან და ხან მეტად უცნაური მოხსენებანი მოგვდის: ერთისა და იმავეს შესახებ ვიცე-კოროლები სხვა და სხვა აზრს აცხადებენ. ამას წინად მივიღეთ, მაგალითად, კუანგის ვიცე-კოროლის ტან-შუნგ-ლის მოხსენება. მოხსენებაში ვიცე-კოროლი ძალიან შეაქებს გუბერნატორს შან-ტიენ-ლის და ამბობს, რომ იგი ყოვლად პატიოსანი, ნიჭიერი და მშრომელი კაციაო. ამ დღეებში მივიღეთ იმავე პროვინციის ახალის ვიცე-კოროლის ში-ნიენ-ძუს მოხსენება. ეს გუბერნატორი ამ მოხსენებაში სულ სხვა კაცად არის დასახული: იგი უპატიოსნოც ყოფილა, უნიჭოც, უვარგისიც. ეხლა აღარ ვიცი, რომელი ვიცე-კოროლია მართალი—პირველი თუ მეორე. ჩვენ სიმართლის გაგება გვინდა, ამიტომ ვუბრძანებთ ორსავე ვიცე-კოროლს, შეუდგნენ ერთად ამ საქმის გამოძიებას და პირუთვნელი, ნამდვილი ამბავი გვაც-

ჯანოვის თავმჯდომარეობით. კრებას თითქმის 250 კაცზე მეტი დაესწრო წოდების განურჩევლად. კრების უმთავრესი აზრი ის იყო, რომ შუამდგომლობა გაეწიათ მთავრობასთან ახალი-სენაკი ქალაქად გადაკეთდეს და ამასთანავე დაესახელებინათ საზღვრები დაბისა და სხვა. მაზრის უფროსმა აუხსნა კრებას ის, თუ რისთვის დააბრუნა უწინდელი თხოვნა მთავრობამ. კრებამ ხელ-ახლად შეიმუშავა, რასაც მთავრობა ითხოვდა, განაჩენი დაადგინა, ხელი მოაწერეს და სთხოვეს უმაღლესს მთავრობას მათი თხოვნა შეიწყნაროს და ახალ-სენაკს ქალაქის სახელი მიანიჭოს. ამავე კრებამ დამფასებელ კომისიაში აირჩია 14 კაცი, რომელთაც უნდა გამოიანგარიშონ, თუ დაბას რომელ წყაროდგან რა შემოსავალი აქვს. უეჭველია ეს თხოვნა და განაჩენი ამ დღეებში უკვე გაიგზავნება დასამტკიცებლად, სადაც ჯერ არს. იმედია, მთავრობა ამ თხოვნას შეიწყნარებს და ახალ-სენაკს ქალაქის სახელი მიენიჭება, მით უფრო რო, როგორც ზ-ნის მაზრის უფროსის ხმელნიცკის დაკვირვებიდგანა სჩანს, ახალ-სენაკს ერთი უპირველესი ადგილი უჭირავს როგორც მაზრაში, აგრეთვე მთელს სამეგრელოში.

—

**შეცდომის გასწორება:** რადგანაც ერთის თუხარელისაგან წერილი მივიღეთ, რომ ილია რამდენსამე თუხარელს ჰრქმევია და შეიძლება ჩვენის გაზეთის №138-ში მოხსენებული დანაშაულობა ყველას ამათგანს მიაწერონ, ვაცნობებთ მკითხველთ, რომ ზემოდ აღნიშნულ №-ის სასამართლო მატიანეში დასახელებული თუხარელი გახლავთ ილია დიმიტრის ძე თუხარელი.

# უცხოეთი

**ჩინეთი.** 1-ს ივლისს პეტერბურგში გავრცელებული ხმა, რომ კითომ წინადღეს ჩინელები ტიან-ძინს დაეცნენ და ცხარე ბრძოლა გაიმართა, რომელმაც მთელი დღე გასტანაო. ამ ბრძოლაში ევროპიელთა და იაპონიის ჯარს მოუკლეს 1900 კაცი და დაუჭრეს 3000 კაციო. სადამოს ჟამს ევროპიელთა ჯარები იძულებულ იქმნენ დაეტოვებინათ ტიან-ძინი, რადგან ჩინელების რიცხვი თან და თან უფრო იზრდებოდა და ახალი ჯარები ემატებოდათ. გერმანიის საელჩოს ერთის წევრის სიტყვით, ამ ბრძოლაში ყველაზედ მეტად დაზარალებულან რუსეთი და იაპონიის ჯარები, რადგან ისინი წინ მიუძღოდნენ ევროპიელთა ჯარებს. თანდათან ევროპიელთა ჯარები ჩინეთში დიდს განსაცდელში ვარდებიან, რადგანაც რიცხვი ჩინეთის ჯარებისა დღითი დღე მატულობს და იზრდება.

— ნემეცკურ გაზეთების სიტყვით, ამბოხება მანჯურიაში თანდათან მატულობს. ამბავი მოვიდა, რომ რუსის მოხელეები მანჯურიის რკინის გზაზედ მთლად ამოსწყვიტესო. ნამდვილი ცნობები ჯერ არ მოსულა. მოხელეთა დასაცველად მანჯურიაში გაიგზავნა 4000 რუსეთის ჯარის კაცი.

— ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ჩინეთის იმპერატორი მოწამლესო, ეხლა კი ამტკიცებენ, რომ იმპერატორი ცოცხალია და კარგადაც არისო. შანხაიდამ მოსული დეპეშა იუწყება: ყოვლად სარწმუნო წყაროდამ შევიტყე, რომ იმპერატორი ცოცხალია და გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს საქმეთა მსვლელობასაო.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

6 ივლისი

**პეტერბურგი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგემ 5 ივლისს დეპეშით შემდეგი მიწერილობა გაუგზავნა ყველა გუბერნატორებს: „რადგანაც ციმბირის რკინის გზით ამ ჟამად ჯარები იგზავნება, უმაღლესად ნაბრძანებია ციმბირში დასასახლებლად მიმავალ გლეხების მოგზაურობა შეწყვეტილ იქმნას; ამისათვის დაუყოვნებლივ უნდა მოჰსპოთ საგზაო მოწმობათა ძლევა და ყოველივე ღონისძიება მიიღოთ თავისით წამსვლელთაც ჩააგონოთ, რომ ახლა ციმბირში გადასახლება აღნიშნულ მიზეზისა გამო შეუძლებელია. ვისაც უკვე გადასახლების ნება-რთვა მიუღია, იმათაც უნდა ურჩიოთ ადგილობრივ დაიცადონ, სანამ გადასახლება შესაძლებელი გახდება, თორემ წინააღმდეგს შემთხვევაში თავის ნებად წასულნი შეიძლება გზაში დარჩნენ. ამასთანავე 10 ივლისიდგან ახალ განკარგულებამდე გადასახლებულთათვის შემოღებული შეღავათიანი ტარიფი ევროპის რუსეთიდგან ციმბირში მიმავალთათვის გაუქმებულ იქმნება. იმ გლეხთათვის, რომელთაც ციმბირში გადასასახლებლად ორის წლის ვადა აქვთ მიცემული, ეს ვადა ერთის წლით გადადებული იქმნება.

ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის ინჟენერის პიოტროვსკის დეპეშა დონიდგან, 3 ივლისს გამოგზავნილი: 28 ივნისს ინჟენერი ბოჩაროვი 800 ბარგის ეტლითა, 3,000 მუშითა და ყველა მსახურებით რკინის გზის დარაჯის მფარველობით ხინანგიდგან სადგურ აკშიში წავიდა, რომელიც რუსეთის საზღვრიდგან 310 ვერსის მანძილზეა; აიგი-რა აქ ხიდი, იგი ხაილარის გზით წავიდა და 6 ივლისს უთუოდ ცურუხაიტუიში მივა. რკინის გზის მე 5 ნაწილის უფროსი ოფენბერგი, როგორც ხმა ისმის, ორის დღის სავალზეა, რადგანაც იმ ადგილებში 6,000-მდე მუშა მოგროვილა. ინჟენერის იუგოვიჩისაგან არავითარი ცნობა არ არის.

ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის მე-2 ნაწილის უფროსის, ინჟენერის რიჟოვის დეპეშა დონოდგან, 3 ივლისს გამოგზავნილი: მე 2 ნაწილის მსახურთა უმეტესობა და რუსი მუშები, რკინის გზის დარაჯის მფარველობით, 30 ივნისს ძველს ცურუხაითუში მშვიდობიანად მოვიდნენ და აქედგან დონოში მიდიან. მსახურთა მცირე ნაწილი და დანარჩენი მუშები რუსეთის საზღვარზედ აბაგაიტუისა და ყაილასუტაიშისაკენ წავიდნენ: მათ შესახებ ცნობ[...] ჯერ არ არის. მე საგანგებო ამბის შემტყობი გავგზავნე. ერთი ნაწილი მუშებისა, რომელიც ხე-ტყესა სჭრი და ტყეში, მდინარის პირას ეზიდებოდა და ჰგზავნიდა, ჯერ არ დაბრუნებულა, მუშების მეთვალყურე პირმიკინი არსად სჩანს, რომელიც 28 ივნისს გზის შესაკეთებლად წავიდა და რომლის შესახებაც ჩინელები ამბობენ, მოჰკლესო. მესამე ნაწილიდგანაც მშვიდობიანად მოვიდნენ მუშები ახალს ცურუხაიტუიში. რუსების მუშებიდგან მხოლოდ რამდენიმე მოჰკლეს ჩინელებმა, თუმცა უკან დაბრუნებულ რკინის გზის მუშებსა და მსახურთ სადგურ ხაილართან მდგომი ჩინეთისა და მონგოლთა ჯარი, რომელსაც თან 4 ზარბაზანი აქვს, არ აბრკოლებს და თავისუფლად უშვებს. 28 ივნისს ლიანდაგზედ ტელეგრაფი გაწყვეტილი იყო. საწყობები და სადგომები სადგურ ხაკსა და ჯარმეიში გაძარცული და დამწვარია. სადგურ ხაილარზედაც გაძარცვეს ცოტაოდენი ხალხი.“

„მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია: „ამურის ოლქი, ხაბაროვსკის პირველი ნაწილი, უსურიისა, ყაზახთა, სამხრეთ-უსურიისა და ამურის პირის ოლქები, აგრეთვე ქალაქები ბლაგოვეშჩენსკი, ხაბაროვსკი, უსურიის ნიკოლსკი და ვლადივოსტოკი ამურის ნაპირების გენერალ-გუბერნატორის მიერ სამხედრო დროის მდგომარეობაში არიან გამოცხადებულნი“.

**ბერლინი.** გერმანიის საკრეისერო ესკადრის უფროსი ტაკუდგან იუწყება 2 ივლისს, რომ 30 ივნისს დილით, 12 რუსის ჯარის-კაცმა და გერმანიის ორმა როტამ, 2 სამინდვრო ბატარეამ რუსებისამ და საფრანგეთის ერთმა სამთო ბატარეამ ჩინეთის ჩრდილო აღმოსავლეთის სიმაგრე აიღეს, რომელიც ჩინეთის ა[...]ხის ჩრდილოეთით მდებარეობდაო, წაართვეს თორმეტი ზარბაზანი და ორი თოფის წამლის მაღაზია ააფეთქესო. როგორც რუსის გენერალი იუწყება, გერმანელთა მოწინავე ჯარს დიდი სამსახური გაუწევია; ამავე დროს ამერიკელთა სამი ბატალიონი, 700 ინგლისელი, 2,000 იაპონელი, 200 ფრანგი და 50 ავსტრალიელი დასავლეთიდგან თოფხანასა და ქალაქის იმ ნაწილს, სადაც ჩინელნი სცხოვრობენ, თავს დაესხნენო. ბრძოლამ საღამომდე გასტანა, ზარალი დიდი იყო, გამარჯვება უმნიშვნელო. ჩინელებმა მხნედ გაუწიეს წინააღმდეგობა. საღამოს 9 საათზედ საშინლად დაღლილმა შეერთებულმა ჯარებმა დასავლეთისაკენ დაიხიეს უკან. საღამოთი მათ გერმანიის ორი ახალი როტა მიემატა. შეერთებულს ჯარებს ამ დღეს სულ 775 კაცი მოუკლეს. როგორც იუწყებიან დეპეშით, შეერთებულს ჯარებს 1-ლს ივლისს აუღიათ ჩინეთის სიმაგრე, გალავან შემოვლებული ქალაქი და ციხე. 62 ზარბაზანი წაურთმევიათ. დაწვრილებითი ცნობები არ მოსულაო.

ესკადრის უფროსი იუწყება ტაკუდგან 3 ივლისს, რომ ტაკუსა და ტიანძინს შუა დაუბრკოლებლივ მატარებლების მიმოსვლა 5 ივლისს დაიწყებაო. ჯარის უფროსებმა გარდასწყვიტეს რუსთ გამგეობის ქვეშ დარჩეს რკინის გზა, სანამ გარემოება ნებას მისცემდეს და ძველს ადმინისტრაციას ჩააბარებდნენ. ინგლისელი ადმირალი თხოულობდა, რომ რკინის გზა ეხლავე გარდაეცათ აღნიშნულ ადმინისტრაციისათვის. რუსებმა გზა შეაკეთეს და თითონ დაიჭირეს.

**კონსტანტინეპოლი.** ბეირუტის შუა გულში სამი შემთხვევა იყო შავის ჭირით ავადმყოფობისა. ბეირუტიდგან მომავალთათვის 10 დღის კარანტინი იქმნა დადებული.

**ლონდონი.** სეიმურის 2 ივლისის დეპეშა იუწყება: „30 ივნისს

---

ნობონ გუბერნატორის შან-ტიენ-ლის შესახებ“.

ასეთი ბრძანებანი ძალიან ბევრია ხოლმე დაბეჭდილი ოფიციალურ გაზეთში. საყურადღებოა აგრეთვე ისიც, რომ გაზეთში ყოველთვის აცხადებენ ამა თუ იმ უმაღლეს მოხელის (თვით ვიცე-კოროლებისაც-კი) დათხოვნის მიზეზს. ევროპაში ასეთი წესი არსად არ არის მიღებული. აქ უმაღლესი მოხელე ყოველთვის ან „თავისისავე სურვილით“ ან „ავადმყოფობისა გამო“ თავს ანებებს თანამდებობას.

***

ჩინეთის სახელმწიფო დაწესებულებათა შორის საყურადღებოა ძუნგ-ლი-იამენი. ამის შესახებ წარსულ ფელეტონშიაც გვქონდა ლაპარაკი. ეს ერთად-ერთი დაწესებულებაა, რომელიც სახელმწიფოს გარეშე საქმეებს განაგებს. ელჩებსა და სახელმწიფოთა წარმომადგენლებს მხოლოდ ამ დაწესებულებასთანა აქვთ ხოლმე საქმე, იმპერატორთანა და იმპერატრიცასთან საქმეებისთვის ისინი ძალიან იშვიათად შედიან.

ძუნგ-ლი-იამენი თავმჯდომარისა და რამდენისამე წევრისაგან შესდგება. ევროპიელს არც-კი შეუძლიან წარმოიდგინოს, რამდენი ცდა, მოთმენა და წვალება უნდა გამოიაროს ელჩმა, ვიდრე ამ დაწესებულებისაგან რამე საქმის გადაწყვეტას ეღირსება. ჩინელები საზოგადოდ ეშმაკი და პოლიტიკოსი ხალხია. ძუნგ-ლი-იამენში ხომ უპირველესი პოლიტიკოსები სხედან. ათას ხრიკებს იგონებენ, რომ იქ შესულ ელჩს ხელი შეუშალონ და საქმის გადაწყვეტა, თუ სულ არ მოსპონ, შემდეგისთვის მაინც გადასდონ.

რაც უნდა ეჩქარებოდეს ელჩს, რაც უნდა გულითა და სულით ჰსურდეს საქმეზედ ლაპარაკის ჩამოგდება, ამას მაინც ვერ მოახერხებს. უპირველესს ყოვლისა ძუნგ-ლი-იამენში მისულ ელჩს მასპინძლობას უწევენ: უთვალავი ტკბილეულობა შემოაქვთ და ელჩმა ჯერ ეს უნდა მიირთვას, რადგან წესი და ჩვეულება ამას მოითხოვს. მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლიან ელჩს ლაპარაკი საქმის გამო, მაგრამ, რა გამოვიდა, პასუხს მაინც ვერ ეღირსება. პასუხის ნაცვლად თავმჯდომარე იწყობს გრძელ სიტყვას, არ იფიქროთ, საქმის შესახებ: თავმჯდომარე დაუსრულებელ სიტყვას ამბობს ჩინურ კაკლის კარგ თვისებათა ან სხვა ამგვარ საქმის შესახებ. ამ სიტყვის გათავების შემდეგ, თუ ელჩმა კიდევ ჩამოაგდო ლაპარაკი, უცნაური ამბავი ხდება: თითქოს პირობა აქვთ დადებულიო, ყველა წევრები ერთად იწყობენ ლაპარაკს, ასე რომ საერთო ჟღავ-ჟღავში ელჩი ველარაფერს იტყობს. ერთად იმიტომ ლაპარაკობენ, რომ შემდეგ ბრალი არავის დასდონ, პირველმა შენ დაიწყე ლაპარაკიო. ჩინეთში ლაპარაკის დროს პირველ-მეორეობა ძალიან არის მიღებული, უეჭველად პირველად უფროსმა უნდა დაიწყოს, ხოლო რადგანაც ძუნგ-ლი-იამენში წევრები თანასწორნი არიან, ამიტომ ყველანი ერთად იწყობენ ლაპარაკს.

ასეთ წვალებაში არიან ელჩები ჩინეთში. ძუნგ-ლი-იამენის ჯავრს მხოლოდ გერმანიის საელჩოს მდივანი იყრიდა ხოლმე. ამ მდივანს ძალიან ჰყვარებია ლაპარაკი და ძუნგ-ლი-იამენში შესვლის დროს, თავმჯდომარეს არც-კი აცლიდა, თვით იწყობდა სიტყვას კაკლის, მურაბის და სხვა ამ გვარ საგნების შესახებ და იმდენს ლაპარაკობდა, რომ წევრები მოთმინებიდგან გამოჰყავდა, ასე რომ თვით წევრები ეხვეწებოდნენ თურმე, გავათავოთ საქმეო.

***

დასასრულ არ შეგვიძლიან არ მოვიყვანოთ ერთის ოსმალურის გაზეთის—„მევერეტის“ აზრი ჩინეთის საქმეების შესახებ. გაჭირვება ევროპისა ოსმალეთს ყოველთვის ძალიან ახარებს ხოლმე, ამიტომ ეხლა ეს სახელმწიფო გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს ყოველსავე იმას, რაც ამ ჟამად ჩინეთში ხდება. აი, სხვათა შორის, დასახელებული გაზეთი რასა სწერს.

„ახალი პოლიტიკის წყალობით, რომელმაც ოსმალეთი გერმანიას დაუკავშირა, ჩვენი სამშობლო ამ ჟამად ხელ-ფეხ შეკრულია. ინგლისი მზად არის გერმანიას დაუჩოქოს, ოღონდ-კი ამ უკანასკნელმა ავნოს რამ „ევროპის მშვიდობიანობის დამრღვევთ“ — რუსეთსა და საფრანგეთს. იაპონია მტრულის თვალით უყურებს რუსეთს და, დასასრულ, ჩინეთი აღსდგა თეთრ კანიანთა წინააღმდეგ, იგი მოყვარესა და მტერს აღარ არჩევს, ყველას ერთნაირადა ჟლეტავს. რა შედეგი მოჰყვება ამ პოლიტიკას, ამ საზოგადო შეიარაღებასა და ომისათვის განმზადებას?

„ჩვენის აზრით, ისარი იმასვე დაუბრუნდება, ვინც იგი სხვის გასაგმირავად და გასანადგურებლად განამზადა. ჩრდილოეთის გოლიათი ისე შეიძვრის, რომ დედა-მიწა რყევას დაიწყებს. როგორც ნახევრად აზიურ სახელმწიფოს, რუსეთს ყველაფერი ხელს შეუწყობს, რომ ჩინეთსა და იაპონიას დაუახლოვდეს. ადრე თუ გვიან რუსეთი ამ სახელმწიფოებს დაუკავშირდება და ევროპის კოალიციას აზიის კოალიციას დაუყენებს, და მაშინ, ვაი ევროპას:—იგი დიპლომატიურის ხრიკებით ველარაფერს გააწყობს, ველარ გაუმაგრდება აბობოქრებულ აზიას: ოდესღაც, თავმომწონესა და ყოყოჩს ევროპას, აუცილებლად მიწასთან გასწორება მოელის აზიელ მოკავშირეთაგან.

„მერწმუნეთ, რომ ასე მოხდება: ჩვენ, ოსმალები, ძალიან კარგად ვიცნობთ რუსეთს. ან-კი რა დაუშლის ჩინეთ-რუსეთ-იაპონიის დაახლოვებას? რუსეთს არავითარი ინტერესი არა აქვს ჩინეთში. სარწმუნოების გავრცელებას იგი არცა სცდილობდა და არც ეცდება; რუსეთის მრეწველობა შინაც ვერ უწევს მეტოქეობას სხვა სახელმწიფოთა მრეწველობას და სხვაგან რას გააწყობს; მაგრე რიგად არც ჩინეთის განათლებისა და იქ რეფორმების შემოღებისათვის ზრუნავს რუსეთი. მაშასადამე, ამ ორ სახელმწიფოს დაკავშირებას არაფერი შეუშლის ხელს. ხოლო ეს დაკავშირება მოხდება მაშინ, როდესაც ევროპიელთა მეკადინეობით ჩინეთი გამოიღვიძებს, იმათსავით შეიარაღდება, შეიძენს ცოდნას და გულში იტყვის, მეც უნდა მოვნახო მოკავშირე, მეც უნდა დავუმეგობრდე ვისმესაო“.

ი. ა—ძე

მოკავშირეთა ჯარს, როდესაც ამ ჯარმა ჩინელებით დასახლებულ ტიან-ძინზე იერიში მიიტანა, ძლიერი ბრძოლა მოუხდა, რომელმაც დილის ორის საათიდგან საღამოს 8 საათამდე გასტანა. 1 ივლისს დილით იაპონელებმა გალავნის კარები ააფეთქეს და ქალაქში შეცვივდნენ. სხვა სახელმწიფოთა ჯარებიც იაპონელებს მიჰყვნენ. წინააღმდეგობა არავის გაუწევია. რუსებმა მარცხენა მხარეს თორმეტი ბატარეია აიღეს. დანარჩენი ჯარი მარცხენა მხარეს იბრძოდა. სულ ამ ბრძოლაში 8,000 კაცი იღებდა მონაწილეობას. დაჭრილი და მოკლული 700 კაცია. ყველაზედ მეტად იაპონელები დაზარალდნენ. ინგლისელებს 20 კაცი მოუკლეს და დაუჭრეს. ჩინეთის ჯარი უგზო-უკვლოდ გაიფანტა. ეს ცნობა სეიმურისა ბროდრიკმა პალატის კრების დასრულებისას წაიკითხა.

**ვაშინგტონი.** სეულში მყოფი ამერიკის ელჩი იუწყება, რომ „დიდის მუშტის" მომხრეები და ჩინეთის ჯარი კორეის საზღვრიდგან რამდენისამე მილის სიშორეზედა სდგანან. შეშინებული მცხოვრებნი გარბიან; უცხო-ქვეყნელთ ჯერ შიში არ მოელით, მაგრამ კორეის მოხელენი დიდ საგონებელს მიეცნენ.

**ლონდონი.** რობერტსი 4 ივლისს დეპეშით იუწყება პრეტორიიდგან: „მტერი გუშინ თავს დაესხა პოლკერიუს მემარცხენე ჯარს და მთელის ჩვენის ჯარის მემარცხენეთ, რომელთაც გენტონი უფროსობდა. მტერმა რამდენჯერმე მოიტანა იერიში და განიზრახა პოზიციის აღება. ბრძოლა მეტად ძლიერი იყო. საქმე ხელ-ჩართულ ბრძოლამდე მივიდა. მსროლელებს წინადადება მისცეს, დაგვმორჩილდითო, მაგრამ ირლანდიელი მსროლელნი და საახალშენო ჯარი მამაცად იცავდნენ პოზიციას. მტერს მოუკლეს 15 კაცი, დაუჭრეს 50 და 4 ტყვედ წამოვიყვანეთ. ინგლისელებს მოუკლეს 7, დაუჭრეს 29 და 23 უკვალოდ დაიკარგა. 500 კაცმა ხუთის ზარბაზნით გაარღვია ის ჯარი ვითლემსა და ფიკსბურგს შუა, რომელსაც გენტერისა და რენდლის ბრიგადები შეადგენდნენ და ლინდლეისაკენ წავიდა. უკან მათ პოდჟეტისა და ბროდვუდის ბრიგადები დაედევნენ.

**შერბურგი** მოვიდა ლუბე. ხალხი აღტაცებით მიეგება.

**ბრიუსელი.** ბელგიის ელჩი შანჰაიში იუწყება, რომ, როგორც ჩინელები იუწყებიან, უცხო-ქვეყნელნი პეკინში პრინცის ჩინის სასახლეს შეეფარნენო.

**პეტერბურგი.** კონტრ-ადმირალი სკრიდლოვი დანიშნულ იქმნა დიდ ოკეანეში მყოფის რუსეთის ესკადრის უფროსად.

**პეტერბურგი.** 6 ივლისს დილით უმაღლესის თანადასწრებით და აგრეთვე სპარსეთის შაჰის თანადასწრებით, მოხდა ჯარის დათვალიერება. იმპერატორმა მიულოცა გვარდიის მე-2 ბატარეის შორეულ აღმოსავლეთში საომრად წასვლა. გამომშვიდობების დროს, მშვიდობით მგზავრობა და უკან დაბრუნება უსურვა.

5 ივლისს პეტერგოფის სასახლეში უმაღლესის თანადასწრებით გაიმართება სპარსეთის შაჰის პატივ-საცემად სადილი.

**ლონდონი.** ინგლისის ბანკმა ასწია დისკონტი 2-დგან 4%-მდე.

**შანხაი.** ჩინეთის ოფიციალურ წყაროდგან 5 ივლისს იუწყებიან, რომ გენერალი ნიე მოკლულ იქმნა ტიან-ძინთან ბრძოლის დროსაო. შანდუნში მცხოვრებ უცხო-ქვეყნელთა ქონება განადგურებულ იქმნა. გუბერნატორის იანშინამის ჯარმა და ამარცხა გენერალის ტუნფუზიანის ჯარი. ეს ბრძოლა ძიან-ჟინთან მოხდა, ტიან-ძინის სამხრეთით ჩილისა და შანდუნის საზღვრის მახლობლად.

**ჩიფუ.** 2 ივლისი. საქმის ვითარება ნიუ-ჩუანში მეტად სერიოზულია. ქალაქში 70 ყაზახია, ხოლო ნაპირთან ორი იაპონიისა და ორი რუსეთის გემი. „დიდი მუშტი" გარს შემოერტყა ქალაქს.

**შანხაი.** 5 ივლისი. ნანკინის ვიცე-კოროლმა, ახალ განკარგულებამდე, საზღვაო დამოენის მთავარ ინსპექტორის თანამდებობის აღსრულება კომისსარს ტეიდორს მიანდო.

**შანხაი.** 4 ივლისი. პეკინში საქმეთა მდგომარეობის შესახებ 30 ივნისს არავითარი ამბავი არ მოსულა. უცხო-ქვეყნელთა და ჩინელთა გაზეთები ბევრს საშიშო ამბავს ავრცელებენ, მაგრამ რკინის გზათა დირექტორის შენისაგან, ვისგანაც მხოლოდ შეიძლება ამბების მიღება, არავითარი ამბავი არ მოსულა, გარდა ამბოხების დაწყების ამბისა.

**ჩიფუ.** ამერიკელი კორესპონდენტები იუწყებიან, რომ უცხო-ქვეყნელნი 23 ივნისს საიდუმლოდ გავიდნენ, რის გამო მათ ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ 26 ივნისიდგან ისინი უშიშარ ადგილას არიან. ამბობენ, იმპერატორი მოჰკლეს და ტახტს პრინცი ტუანი დაეპატრონაო. გენერალი ნეი, რომელიც უცხო-ქვეყნელთ გამოესარჩლა, იძულებული გახდა სიცოცხლეს გამოსალმებოდა. გერმანიის გემმა ამბავი მოიტანა, რომ 24 ივნისს უცხო-ქვეყნელნი პეკინში ჯერ კიდევ ცოცხალნი იყვნენო.

**შანჰაი.** ოფიციალურად. უცხო ქვეყნელ ქალებსა და ბავშვებს ურჩევს ქალაქიდგან გასვლა. იანუზში პოიაპნოსის ტბაზედ, ნიუძინის მახლობლად ამბოხებაა. რამდენიმე მისიონერი მოჰკლეს, ეკკლესიები დასწვეს, ტელეგრაფები წაახდინეს ხანკოუსა და ნიუძინს შუა.

**პეტერბურგი.** როგორც მთავარ შტაბიდგან მიღებულ ცნობებიდგანა სჩანს, ხარბინსა და იმის სამხრეთით მცხოვრებ რუსთა მდგომარეობა, რომელნიც ჩინელ მეამბოხეთა და ჯარებმა მოსწყვიტეს რუსეთის საზღვარს, ჯერ ისევ უცნობელია, ამასთან იუწყებიან, რომ რაზმები: სუნგარის მდინარით წასული გენერალ ალექსეევის უფროსობით, ნიკოლაევსკიდგან წასული გენერალ-მაიორის ჩიჩაგოვის უფროსობით, ძველი ტურუხაიტიდგან გენერალ ორლოვის უფროსობით მხნედ გაემართნენ სალაშქროდ და ისე მსწრაფლ ასრულებენ ყოველი ბრძანება, რომ ჩინელთათვის მოულოდნელი იყო; საერთო უფროსობა ჯარისა მიენდო ერთად-ერთ გამოცდილ გენერალს გენერალ-გუბერნატორს გროდეკის, ხოლო იმის თანაშემწედ დანიშნულ იქმნა გენერალ-მაიორი სუბოტიჩი, რომელიც უმთავრესად აზიაში მსახურებდა და ბოლოს დროს შტაბის უფროსად იყო პორტ-არტურში.

**ბერლინი.** ჯავშნიან გემთა ესკადრის უფროსი სამს ივლისს უზედომის მიერ გადმოცემულ შემდეგ ამბავს იუწყება: 30 ივნისის თავდასხმის გამო ტიან-ძინის ის ნაწილი, სადაც ჩინელები სცხოვრობენ, 1 ივლისს ძლივს გაუმაგრდა იაპონელთა, ინგლისელთა და ამერიკელთა ჯარების იერიშს. ქალაქი მოკავშირეთა ხელშია; ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილში 1 ივლისს რუსები იბრძოდნენ, რომელთაც ჩინელთა ბანაკი უნდა აეღონ. 2 ივლისს ჩინეთის ბანაკის სიმაგრეზედ ჰფრიალებდა კიდეც რუსეთის დროშები, ამ გვარად ქალაქის დაპყრობის საქმე დაბოლოვებულია. 30 ივნისის ბრძოლის შესახებ უზედომი იუწყება: „მე ალექსეევის მთავარ-სადგურში ვიყავ ბრძოლის დაწყების ერთის საათის შემდეგ. გერმანიისა და რუსეთის ქვეითა ჯარიდგან ექვსასის მეტრის მანძილზედ საშინელი აფეთქება მოხდა, ასე რომ ბევრი კაცი დაეცა, ხოლო საფრანგეთის სამთო არტილერიის ჯორები დაფრთხნენ. ოდნავ დაიჭრა გენერალი სტესსელი, მაგრამ ერთის საათის შემდეგ უკვე დაიწყო ხელახლად უფროსობა. მან განაცხადა, რომ არასოდეს არ მინახავს გერმანიის ზღვაოსნებისთანა კარგი ჯარის კაცებიო. სტესსელი ყოველს ბრძოლაში ტიან-ძინის გარეშემო საუცხოოდ უფროსობდა რუსეთისა და გერმანიის ჯარს. თუ გერმანელები ამ საქმეში ასე მცირეოდენად დაზარალდნენ, ეს სწრაფად მოქმედების წყალობით მოხდა. ასე 7 საათზედ გერმანელებმა რუსებთან ერთად დაიპყრეს ჩინელთა სიმაგრე 22 ზარბაზნითურთ. გერმანიის ჯარს სიმაგრიდგან ზარბაზნებს ესროდნენ 11 საათამდე, მაგრამ ზარალი არა მოსვლიათ-რა; დაღალული რაზმები პირველ საათზედ ბინებზედ წავიდნენ". 1 ივლისს, დილით, უზედომი ორის სათადარიგო რაზმით, რომელსაც ბრძოლაში მონაწილეობის მიღება არ მოუხდა, —ყოფილა მცირეოდენის ხნით ქალაქის ჩინურს ნაწილში, რომელიც უკვე გადამწვარი და განადგურებულია თურმე. უფრო დიდი მონაწილეობა ჩინეთის დამარცხების საქმეში იაპონელებმა მიიღეს. ბოლოს დროს ჩინეთის არტილერია, თანდათან მომატებული, ძლიერად ისროდა, ასე რომ ყუმბარები ყოველ დღე ხვდებოდა თურმე შედარებით კარგად დაცულს გერმანიის საელჩოს, ბანკსა და კლუბს, სადაც გერმანელნი დაჭრილნი იმყოფებოდნენ. ამან ხელი შეუშალა ჯარის დასვენებას, რომელიც აქეთ-იქით გადასვლა-გადმოსვლით დიდად იყო დაღალული. გერმანიის იმპერატორის იმ ბრძანებას, რომ ჯილდოს მივცემ პეკინში დამწყვდეულთა განთავისუფლებისათვისაო, აქ ყველა ერობისანი მადლობით ეგებებიან; ეს ბრძანება აქ იაპონიის ტიანძინელმა ელჩმა გაავრცელა, რადგან იმედი აქვს, რომ პეკინში გასაგზავნ შიკრიკებს ვიშოვნიო. 2 და 3 ივლისს 1,000-მდე იაპონელი მოვიდა (პირველი ნაწილი აქ გამოსაგზავნ დივიზიისა). 3 ივლისს მოვიდა გემი ინდოეთის ჯარით.

**ლონდონი.** ხმა დადის, რომ ნინბოს მომხდარ უწესოებათა ამბავი დიდად არის გაზვიადებული; იქ სრული მშვიდობიანობაა. ნინბოს ჩინელთა შორის შიშის ზარი ტრიალებდა, მაგრამ ეხლა უკვე წყნარდებიან. ეს შიშის ზარი ტიან-ძინში უდანაშაულო ჩინელთა დახოცვის ამბავმა გამოიწვია. ქალაქის თვით-მართველობამ უცხო-ქვეყნელებით დასახლებულ ადგილებში მყოფ ჩინელ მკვიდრთა დასაცველად დასამშვიდებელი მოწოდებანი გამოსცა, რომელმაც კარგად იმოქმედა.

**შანხაი.** ხუნანისა და ხუბეის პროვინციების გუბერნატორი თავისის ჯარით შეკინში მიდის.

# განცხადებანი

## ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან:

1) მდგომარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში არის სულ სამოცი ვაკანსია: პირველ განყოფილებაში 50 ვაკანსია (7 და 8 წლის ყმაწვილებისათვის) და მეორეში 10 ვაკან. (8 და 9 წლ. ყმაწვ.) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის.

2) 60 ვაკანსიიდგან 56 არის დანიშნული გარედგან მოსიარულეებისათვის, ორი საზოგადოების სრულ ხარჯზე და ორიც ნახევარ ხარჯზე.

3) ვინც საზოგადოების სრულ ხარჯზედ იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება.

4) ვისაც ჰსურს მიღებულ იქმნას საზოგადოების სრულ ხარჯზედ, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის (ნათლობის) მოწმობა, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან, გ) მოწმობა ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა, რომ იგი ირიცხება ხსენებულ ბანკის დამფუძნებელთა შორის, დ) ყვავილის აცრის მოწმობა.

5) ვისაც გარედგან მოსიარულედ ჰსურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა დამფუძნებლობისა და სიღარიბისა.

6) უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველნი დაშვებულნი იქნებიან წილის ყრით.

წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ ყველა საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისთვის.

7) ვინაიდგან პანსიონში შემომსვლელთათვის მცირეა ვაკანსიების რიცხვი და მსურველი კი ბევრია, სკოლის გამგე კომიტეტი იძულებული იქნება დაითხოვოს ის პანსიონერები, რომლებზედაც წინა წლის ფულია დარჩენილი, იმისთვის, რომ ადგილი დაუცალოს ახალ შემომსვლელებს. ამიტომ სკოლის მთავრობა სთხოვს მშობლებს, რომელთაც სრულად არა აქვთ შემოტანილი სწავლა-აღზრდის ფასი, უთუოდ შემოიტანონ პირველს ენკენისთვისათვის, რაც არის მათზედ დარჩენილი, თორემ მათი შვილები უსათუოდ იქნებიან დათხოვნილნი პანსიონიდამ.

8) შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელ-მეორედ გამოცდის შემდეგ, კიდევ განთავისუფლდეს რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულ საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზედ. ვინც საკუთარ ხარჯზედ შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი—შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

9) თხოვნების შემოტანა შეიძლება აგვისტოს 25-დის.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Тифлисской Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ, въ д. Селикова.

10) აგვისტოს, 26 და 28 რიცხვებში მოხდება ხელ მეორე გამოცდა ზოგიერთ მოსწავლეებისა და 31-ს მისაღები ეგზამენები. 1 სექტემბერს დაიწყება სწავლა.

11) პანსიონში არ იქმნებიან მიღებულნი აგრეთვე ის პანსიონერებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1900—1901 წლის სასწავლო ფულის ნახევარს.

12) ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდები ტფილისში მცხოვრებთაგან, რომელთაც შეეძლოს სკოლის გამგეობას მიმართოს როგორც ფულის თავის დროზე შემოტანისა, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც.

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მისის თანადასწრებით 20 ივლისს, 1900 წელს, ნაშუადღევს 12 საათზედ, ნაცვლად არ მომხდარის ვაჭრობისა, დანიშნულია ახალი ვაჭრობა ქალაქის მამულის იჯარით გასაცემად, რომელიც მდებარეობს ქ. ტფილისის მე-7 ნაწილში, ავლაბრის აგარაკში, ზომით 28 დესეტინა, გაჯის დასაწვავად.

მსურველთ შეუძლიანთ გასინჯონ პირობანი ქალაქის გამგეობის მე-4 განყოფილებაში 8 საათიდამ 1 საათამდე ყოველ დღე, კვირა უქმეს გარდა. (3—6.—1)

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით შუადღის 12 საათზედ 10 ივლისს 1900 წელს, დანიშნულია

**საჯარო ვაჭრობა,**

**რომელზედაც იჯარით გაიცემა უსუფთაობის მილის გამართვის** საქმე ოლგას ქუჩიდგან სმეტაოვის ქუჩაზედ ხანჯალდიანცის სახლამდე, სიგრძით 20,00 საჟ.

მსურველთ შეუძლიანთ პირობანი გამგეობის ამშენებელ განყოფილებაში გასინჯონ ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—6.—1)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე